

ვებგვერდის გამოყენების პირობები

ქვემოთ მოცემულ ტექსტში სიტყვები “თქვენ” და “მომხმარებელი” ნიშნავს ვებგვერდზე შემოსულ ნებისმიერ სტუმარს.

გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ მოხმარების წესები.

1. ზოგადი პირობები

წინამდებარე მოხმარების წესებით დადგენილი პირობები (შემდგომში “მოხმარების წესები”) არეგულირებს ლიბერთი ბანკის წინამდებარე ვებგვერდს (განთავსებულს დომენზე www.oneloan.ge ან სხვა დომენზე), რომლის ძირითადი ადგილსამყოფელია საქართველო, ქ.თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზირი 74 და რეგისტრირებულია საქართველოს მსხვილ გადაამხდელთა ინსპექციაში სარეგისტრაციო ნომრით 203828304 (შემდგომში “ლიბერთი ბანკი”).

თქვენს მიერ ვებგვერდზე შესვლა და ამ ვებგვერდზე ან მისი მეშვეობით მიღებული ინფორმაციის ან მომსახურების გამოყენება გულისხმობს იმას, რომ თქვენ თანახმა ხართ შეასრულოთ ამ მოხმარების წესებით დადგენილი პირობები. ცალკეული პროდუქტების ან მომსახურებების პირობებსა და ამ მოხმარების წესებით დადგენილ პირობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ამ კონკრეტული პროდუქტების ან სერვისებისთვის დადგენილ პირობებს.

2. შეზღუდვები ვებგვერდის გამოყენებაზე

ლიბერთი ბანკის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია მიღებულია იმ წყაროებიდან, რომლებსაც ლიბერთი ბანკი სანდოდ მიიჩნევს. ლიბერთი ბანკი და მესამე მხარეები არ იძლევიან არანაირ გარანტიას ან პირობას, არც ნაგულისხმევს და არც პირდაპირს, იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ამ ვებგვერდზე განთავსებული ან მისი მეშვეობით მიღებული ინფორმაცია სწორი, სრული ან განახლებული. ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს ან მოიხსნას წინასწარი შეტყობინების გარეშე. ლიბერთი ბანკი არ იძლევა გარანტიას იმაზე, რომ ეს ვებგვერდი ან მისი მეშვეობით მიწოდებული ინტერნეტ-მომსახურებები იმუშავებს შეცდომების ან შეფერხებების გარეშე.

ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც რჩევა ან თხოვნა პროდუქტის, მომსახურების ან ფინანსური დოკუმენტის ყიდვის ან გაყიდვის თაობაზე ან/და როგორც მომსახურების მომწოდებლის რეკომენდაცია, თუ თავად მომსახურების მომწოდებელი ამკარად არ იუწყება საწინააღმდეგოს.

ლიბერთი ბანკი არ მიაწვდის ამ პროდუქტებს და მომსახურებებს ნებისმიერ პირს, თუ ბანკის აზრით (და იმ პირობით, რომ ბანკი არ არის ამის შემოწმებაზე ვალდებული) ამ მომსახურებების მოწოდებით დაირღვევა აღნიშნული პირის ადგილსამყოფელ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა ან წესები ან სხვა დაკავშირებული კანონმდებლობა.

ამასთანავე თქვენ გეკრძალებათ ჩვენი სისტემების ან ამ ვებგვერდის ყოველგვარი არაუფლებამოსილი გამოყენება, რაშიც შეუზღუდავად შედის ჩვენ სისტემებში არაუფლებამოსილი შესვლა, პაროლის არასათანადო გამოყენება ან ვებსაიტზე განთავსებული ნებისმიერი ინფორმაციის არასათანადო გამოყენება.

თქვენ თანხმობას აცხადებთ იმაზე, რომ ჩვენ უფლება გვაქვს თქვენ მიერ ვებგვერდზე მიწოდებული ინფორმაცია გაუუმჟღავნოთ და გადავცეთ (i) ლიბერთი ბანკთან აფილირებულ

ნებისმიერ კომპანიას, მის წარმომადგენლებს ან ინფორმაციის მომწოდებლებს; (ii) ნებისმიერ სხვა პირს ან ორგანიზაციას თქვენი თანხმობით; და (iii) როდესაც ჩვენ კანონმდებლობით გვაქვს უფლება ან ვალდებული ვართ ან/და გვაქვს ნებართვა ან იძულებული ვართ გავამჟღავნოთ ეს ინფორმაცია. თქვენ თანხმობას აცხადებთ ამ ინფორმაციის გადაცემაზე და მიწოდებაზე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ან ნებისმიერი ქვეყნის გავლით, როგორც ჩვენ ჩავთვლით საჭიროდ ან მიზანშეწონილად. თქვენ მიერ ამ ვებგვერდით სარგებლობა ან მასზე ინფორმაციის მიწოდება მიიჩნევა თქვენ მიერ ინფორმაციის ასეთ გადაცემაზე თანხმობად.

ამ ვებგვერდით სარგებლობა შეიძლება დაექვემდებაროს მონიტორინგს, თვალყურისდევნებას და ჩაწერას. ნებისმიერი პირი, რომელიც იყენებს ამ ვებგვერდს მკაფიოდ გამოხატავს თავის თანხმობას ასეთ მონიტორინგზე, თვალყურისდევნებაზე და ჩაწერაზე. თქვენ ვალდებული ხართ გაეცნოთ ვებგვერდზე განთავსებული ამ მოხმარების წესების მიმდინარე ვერსიას ვებგვერდზე მუშაობის ყოველი შემთხვევისას.

3. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

წინამდებარე ვებგვერდი გათნავსებული დომენზე www.oneloan.ge (ან სხვა დომენებზე) წარმომადგენს მხოლოდ საბანკო მომსახურების მიღების განაცხადის ელექტრონულ ფორმას. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად წინამდებარე ვებგვერდზე არსებული ელექტრონული განაცხადის შევსება არ ანიჭებს გამცხადებელს რაიმე სახის მომსახურების მიღების უფლებამოსილებას, ხოლო ბანკს არ აკისრებს რაიმე სახის მომსახურების გაწევის ვალდებულებას. დამატებით ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე შეცვალოს ვებგვერდზე არსებული განაცხადის ფორმა, მისი შინაარსი ან/და პირობები. განაცხადზე არსებული ფორმის შევსება არ ავალდებულებს ბანკს პროდუქტი გასცეს იგივე პირობებით, რაც მოხსენიებულია ელექტრონულ ფორმაში.

ამ ვებგვერდზე არსებულ ინფორმაციას აქვს მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი. იგი მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ ჩვენ არ ვიდლებით გარანტიას მის სისრულეზე, დროულობაზე და სისწორეზე. მომხმარებელი ეცნობა, იყენებს და ენდობა ამ ინფორმაციას მხოლოდ საკუთარი რისკით. გთხოვთ, ამ ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის შეფასებისას ითხოვთ პროფესიონალების რჩევა საჭიროების მიხედვით.

ადამიანური თუ მექანიკური შეცდომების დასაშვებობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამ ვებგვერდის შინაარსი მოწოდებულია არსებული ფორმით ანუ “როგორც არის”. ლიბერთი ბანკი, ჩვენთან აფილირებული პირები ან მესამე მხარეები არ იძლევიან არანაირ გარანტიას და პირობას ვებგვერდთან ან მის შემცველობასთან დაკავშირებით. ლიბერთი ბანკი, ჩვენთან აფილირებული პირები და მესამე მხარეები გათავისუფლებული არიან ყოველგვარი გარანტიის ან პირობის მიცემის ვალდებულებისგან ამ ვებგვერდთან დაკავშირებით, მათ შორის ყოველგვარი ნაგულისხმევი გარანტიებისგან რაც ეხება სყიდვითვარვისიანობას, მესამე მხარის უფლებების შესაძლო დარღვევას, ვირუსებისგან ან სხვა დამაზიანებელი კოდებისგან თავისუფლებას ან რაიმე მიზნისთვის ვარვისიანობას. ლიბერთი ბანკი, ჩვენთან აფილირებული პირები ან მესამე მხარეები არ იძლევიან არანაირ გარანტიას ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის და მასალების სისწორეზე, ადეკვატურობაზე ან სისრულეზე და გარკვევით უარს აცხადებენ ყოველგვარ პასუხისმგებლობაზე რაც ეხება ამ მასალებში ან ინფორმაციაში შეცდომებს ან უზუსტობებს. ლიბერთი ბანკი, ჩვენთან აფილირებული პირები ან მესამე მხარეები პასუხს არ აგებენ ამ ვებგვერდის შეფერხებებზე, კომპიუტერულ ვირუსებზე, მავნე კოდებზე და ვებგვერდთან დაკავშირებულ სხვა დეფექტებზე. შეუსაბამობაზე ვებგვერდსა და მომხმარებლის ფაილს ან მომხმარებლის მიერ გამოყენებულ ინტერნეტში სანავიგაციო პროგრამას (browser) ან საიტზე შესასვლელ სხვა პროგრამას შორის, და სხვა პრობლემებზე, რომლებიც მომხმარებელს შეიძლება შეექმნას ჩვენ მიერ არ ან ვერ კონტროლირებადი მიზეზებით. ლიბერთი ბანკი პასუხს არ აგებს დანახარჯებზე, დანაკარგებზე, დაზიანებაზე (მათი ხასიათის მიუხედავად, იქნება ეს პირდაპირი,

არაპირდაპირი, განსაკუთრებული, დამახასიათებელი, გამომდინარე თუ სადამსჯელო ან საჯარო დანაკარგებზე, მათ შორის და არა მხოლოდ ფინანსურ დანაკარგებზე და განაცდურზე) ან გაცდენილ ხელსაყრელ შემთხვევაზე, თუ ეს ნებისმიერი ფორმით გამომდინარეობს ამ ვებგვერდზე შესვლის, მისით სარგებლობის ან ვერსარგებლობის შედეგად, მიუხედავად იმისა, გვეცნობა თუ არა ჩვენ ასეთი დაზიანებების მოხდენის შესაძლებლობაზე და მიუხედავად საქმის მსვლელობის ფორმისა, ეფუძნება იგი ხელშეკრულების, გარანტიის, კანონისმიერ ვალდებულების (დაუდევრობის ჩათვლით), მკაცრი ვალდებულების ნორმებს თუ სხვა საფუძველს.

4. პირადი ინფორმაციის გადამოწმების პირობები

სესხის ელექტრონულ განაცხადის პირობებზე თანხმობის ელექტრონულად მონიშვნით/აღიარებით მომხმარებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს და თანხმობას აცხადებს მასზე, რომ ბანკის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერ დროს და ნებისმიერი რაოდენობით საქართველოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან გამოთხოვნილ და მიღებულ იქნას მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემები, მისი გაცნობის, გადამოწმების, შედარების, საბანკო და სხვა საქმიანობისათვის გამოყენების, ანალიზის, შენახვის და საკანონმდებლო ან/დასახელშეკრულებო ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიზნებისთვის. ამასთან, მომხმარებელი თანხმობას აცხადებს და უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს შეზღუდვის გარეშე, საჭიროების შემთხვევაში, მის მიერ შევსებული ელექტრონული განაცხადი გადასცეს საქართველოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, მის უფლებამონაცვლეს ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მესამე პირ(ებ)ს.

ასევე სესხის ელექტრონულ განაცხადის პირობებზე თანხმობის ელექტრონულად მონიშვნით/აღიარებით მომხმარებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს და თანხმობას აცხადებს მასზე, რომ ბანკის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერ დროს და ნებისმიერი რაოდენობით ნებისმიერი საკრედიტო ბიუროსგან მიღებულ იქნას მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემები და საკრედიტო ისტორია, მისი გაცნობის, გადამოწმების, შედარების, საკრედიტო გადაწყვეტილების მიღებისა და სხვა საქმიანობისათვის გამოყენების, ანალიზის ან/და შენახვისთვის.

5. საავტორო უფლება და სავაჭრო ნიშნები

ლიბერთი ბანკი და მესამე მხარეები, თუ ეს პირდაპირ არის მითითებული, ინარჩუნებენ საკუთრების უფლებას, საავტორო უფლებას © და საიტთან დაკავშირებულ ყველა არაქონებრივ უფლებას. აკრძალულია ამ ვებგვერდის შემცველობის, მთლიანად ან ნაწილობრივ, გამოქვეყნება, რეპროდუქცია, გადაცემა ან შენახვა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საკუთრების უფლების, საავტორო უფლების ან სხვა არაქონებრივი უფლების მფლობელმა მისცა თანხმობა შესაბამის ქმედებაზე. აკრძალვა არ ეხება კომპიუტერში შენახვას ან ამობეჭდვას მხოლოდ პირადი გამოყენებისთვის. დასაშვებია ვებგვერდის შემცველობის ციტირება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ციტირების შემთხვევაში აუცილებელია წყაროს მითითება. საიტზე არსებული სავაჭრო ნიშნები და ლოგოები შეიძლება იქნას რეპროდუცირებული, გამოქვეყნებული ან გავრცელებული უფლების მფლობელის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

ლიბერთი ბანკის ვებგვერდზე არსებული ფორუმების, სასაუბრო (ჩეთის) ოთახების, დებატების და სხვა მისთანას მონაწილეებმა შეიძლება წარმოადგინონ მხოლოდ ის მასალები, რომლებზეც ისინი ფლობენ საავტორო უფლებას ან რომლებზეც სხვა გზით მოიპოვეს ეს უფლება. მიიჩნევა, რომ მონაწილე, რომელიც წარმოადგენს მასალას, და როდესაც წარმოადგენს მასალას, თანხმობას აცხადებს ლიბერთი ბანკის მიერ ამ მასალის შენახვაზე, გავრცელებაზე ან გამოქვეყნებაზე, ელექტრონულად ან სხვა ფორმით

6. შესაძლო შეფერხებები (წყვეტები) მომსახურებაში

თქვენ თვითონ ხართ პასუხისმგებელი სატელეფონო, კომპიუტერული, პროგრამული და სხვა აღჭურვილობის ქონაზე და გამოყენებაზე, რაც საჭიროა ამ ვებგვერდზე შესასვლელად და მისით სარგებლობისთვის. ვებგვერდზე დაშვება შეიძლება ზოგჯერ იყოს შეუძლებელი, ფერხდებოდეს, იზღუდებოდეს ან შენელებს ქვემოთ ჩამოთვლილი, და არა მხოლოდ, მიზეზებით:

- აღჭურვილობის გაუმართაობა, მათ შორის და არა მხოლოდ, კომპიუტერების (მათ შორის თქვენი კომპიუტერის), სერვერების, ქსელების, ტელეკომუნიკაციის ხაზების და კავშირგაბმულობის, სხვა ელექტრონული და მექანიკური აღჭურვილობის გაუმართაობა;
- პროგრამების გაუმართაობა, მათ შორის და არა მხოლოდ, პროგრამული “ზოჭოები” (bugs), შეცდომები (errors), ვირუსები, კონფიგურაციის პრობლემები, სისტემების, დამხმარე პროგრამების (utilities) და შემსრულებელი პროგრამების (applications) ურთიერთშეუთავსებლობა, ქსელთაშორისი დამცავი (firewalls) და შემმოწმებელი პროგრამების (screening programs) მუშაობა, არაწაკითხვადიკოდები ან უწყისივრობა ცალკეულ დოკუმენტებში ან სხვა შიგთავსში;
- სისტემის გადატვირთულობა;
- ზიანი, რომელიც გამოწვეულია უამინდობით, მიწისძვრით, ომით, აჯანყებით, არეულობით, ტერორისტული აქტით, სამოქალაქო მღელვარებით, სტიქიური მოვლენებით, უბედური შემთხვევით, ხანძრით, წყლის გაყვანილობის დაზიანებით, აფეთქებით, მექანიზმის ავარიით ან ბუნებრივი კატასტროფებით;
- ელექტროდენის ან სხვა კომუნალური მომსახურების მიწოდების მთლიანი ან ნაწილობრივი შეფერხებით;
- მთლიანი თუ ნაწილობრივი გაფიცვით ან შრომითი პროცესის სხვა შეფერხებით;
- მთავრობის ან კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვებით, სასამართლო გადაწყვეტილებებით ან ადამიანის სხვაგვარი ჩარევით; ან
- ნებისმიერი სხვა მიზეზით (იქნება ეს ზემოთ ჩამოთვლილის მსგავსი თუ არამსგავსი), რომელიც არ არის ჩვენ მიერ კონტროლირებადი.

თუ ვებგვერდზე შესვლა შეუძლებელია, შეფერხებულია ან შეზღუდულია ანდა თუ ვებგვერდი არ მუშაობს სწრაფად და გამართულად, თქვენ შეიძლება ვერ შეძლოთ ტრანზაქციებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით მითითებების მიცემა ან ეს მითითებები შეიძლება არ შესრულდეს სათანადოდ ან თქვენ შეიძლება ვერ შეძლოთ ინფორმაციის დროულად მიღება. თუ თქვენი ოპერაციები დამოკიდებულია ჩვენთან ასეთ კავშირგაბმულობაზე და კავშირგაბმულობა შეწყვეტილი ან შეფერხებულია, თქვენ შეიძლება მოგადგეთ ზიანი. ლიბერთი ბანკი პასუხს არ აგებს ასეთ ზიანზე.

7. სხვა საიტებთან დამაკავშირებელი ბმულები (links)

მაშინ, როდესაც ლიბერთი ბანკი გთავაზობთ ბმულებს მესამე პირების ვებგვერდებთან, ეს არ ნიშნავს, რომ ლიბერთი ბანკი რეკომენდაციას უწევს ამ ვებგვერდებზე ან მათი მეშვეობით შემოთავაზებულ პროდუქტებს, მომსახურებებს, მოსაზრებებს, იდეებს ან ინფორმაციას. ამ ბმულების გამოყენებისას თქვენ მოქმედებთ მხოლოდ თქვენივე რისკით და ლიბერთი ბანკი არ იღებს არანაირ ვალდებულებას ან პასუხისმგებლობას ამ ვებგვერდების შემცველობაზე, გამოყენებაზე ან ხელმისაწვდომობაზე. თუ თქვენ გადაწყვეტთ ისეთ ვებგვერდზე გადასვლას,

რომელიც ჩვენ კონტროლს არ ექვემდებარება, ჩვენ არ გაძლევთ არანაირ გარანტიას, პირდაპირს თუ ნაგულისხმევს, თქვენს მიერ ასეთი საიტის გამოყენებასთან ან გამოყენების შეუძლებლობასთან დაკავშირებით, საიტის შემცველობასთან დაკავშირებით, მათ შორის მის სისწორესთან, სისრულესთან, სანდობასთან ან რაიმე კონკრეტული მიზნით ვარგისიანობასთან დაკავშირებით; ასევე, ჩვენ არ გაძლევთ გარანტიას, რომ ეს საიტი ან მისი შემცველობა თავისუფალია ისეთი პრეტენზიებისგან, რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს საავტორო უფლებას, საავტორო ნიშანს ან მესამე პირების უფლებების სხვა დარღვევებს. ჩვენ ასევე არ ვიძლევით გარანტიას, რომ ასეთი საიტი ან მისი შემცველობა თავისუფალია ვირუსებისგან ან სხვა სახის დამაზიანებელი ფაქტორებისგან. ჩვენ არ ვიძლევით გარანტია ინტერნეტში არსებული დოკუმენტების ნამდვილობაზე. ლიბერთი ბანკს არ შეუძოწმებია ასეთი ვებგვერდების შემცველობის სინამდვილე, სისწორე, გონივრულობა, სანდობა ან სისრულე.

გარდა ამისა, ამ მესამე პირების ვებგვერდებს შეიძლება ჰქონდეთ ჩვენი ვებგვერდისგან განსხვავებული უსაფრთხოების პოლიტიკა ან უსაფრთხოების სხვა პრაქტიკა, რის გამოც აუცილებელია გაეცნოთ ამ სხვა საიტების პოლიტიკას მანამ, სანამ გაცვლით თქვენ პირად ინფორმაციას.

8. სერვერის მიერ შექმნილი მოკლე საინფორმაციო ფაილები (cookies)

ლიბერთი ბანკის ვებგვერდი შეიცავს ქუქის. ქუქი არის მოკლე ტექსტური ფაილი, რომელსაც თქვენ მყარ დისკზე ინახავს თქვენ მიერ მონახულებული ვებგვერდი. ტექსტური ფაილი შეიცავს ინფორმაციას და, სხვა მიზნებთან ერთად, გამოიყენება მნახველის მიერ შესაბამისი ვებგვერდით სარგებლობის უზრუნველსაყოფად.

არსებობს ორი ტიპის ქუქი. პირველი ტიპი, რომელსაც მყარ ქუქის (persistent cookie) უწოდებენ, ინახავს ფაილს თქვენ მყარ დისკზე გარკვეული დროით. ლიბერთი ბანკი იყენებს მყარ ქუქის იმისათვის, რომ დააფიქსიროს მნახველის ნავიგაცია ვებგვერდზე და შეაგროვოს სტატისტიკური მონაცემები.

ქუქის სხვა ტიპი, რომელსაც სესიის ქუქი (session cookie) ეწოდება, ინახება მხოლოდ იმ ხნის განმავლობაში, რა დროშიც თქვენ ახდენთ ნავიგაციას საიტზე. ლიბერთი ბანკის ინტერნეტ მომსახურების გამოსაყენებლად თქვენ უნდა დაეთანხმოთ სესიის ქუქის გამოყენებას. სესიის ქუქის ლიბერთი ბანკი იყენებს იმისათვის, რომ თქვენ შეძლოთ საბანკო ტრანზაქციების განხორციელება, ხოლო როდესაც თქვენ დატოვებთ ლიბერთი ბანკის ვებგვერდს ან დახურავთ ინტერნეტში სანავიგაციო პროგრამას (browser) – სესიის ქუქი თავისით წაიშლება.

თუ თქვენ არ დაეთანხმებით ქუქის გამოყენებით მუშაობას, თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი სანავიგაციო პროგრამის (Internet Explorer, Mozilla Firefox და სხვა) უსაფრთხოების რეჟიმი. გაითვალისწინეთ, რომ თუ თქვენ არ დაეთანხმებით სესიის ქუქის გამოყენებით მუშაობას, თქვენ ვერ შეძლებთ საბანკო ტრანზაქციების და სხვა მოქმედებების შესრულებას ლიბერთი ბანკი ვებგვერდზე.

9. გაფრთხილება უცხოელი მომხმარებლებისთვის

ეს ვებგვერდი ძირითადად გამიზნულია იმ მომხმარებლებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველოს ბაზარზე ინვესტირებით ან მომსახურების მიღებით. აქ რეკლამირებული საინვესტიციო პროდუქტები და მომსახურებები, როგორც ასეთი, შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი საქართველოს ტერიტორიის გარეთ მყოფი კერძო მომხმარებლებისთვის ან შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი საგადასახადო და სხვა თვალსაზრისით.

საინვესტიციო რეკლამების ან/და განცხადებების ხასიათისა და შინაარსის მიხედვით, რომლებიც დროაღარო შეიძლება დაიდოს ამ ვებგვერდზე, თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ დამატებითი კონსულტაციის ან რჩევების მიღება სამართლის, საგადასახადო ან ინვესტირების

სპეციალისტებისგან.

10. მოქმედი კანონმდებლობა და იურისდიქცია

ეს ვებგვერდი და მისი მოხმარების წესები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და უნდა განიმარტოს მის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, თქვენ ცხოვრობთ თუ არა და აწარმოებთ თუ არა ბიზნესს ლიბერთი ბანკის მეშვეობით საქართველოში. ლიბერთი ბანკის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი სარჩელი და ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშვება ან დაკავშირებულია თქვენ მიერ ამ ვებგვერდის წვდომასა და მისით სარგებლობასთან, ასევე ამ მოხმარების წესების დებულებებთან, თქვენ მიერ უნდა წარედგინოს მხოლოდ საქართველოს სასამართლოებს.

თქვენ თანხმობას აცხადებთ საქართველოში არსებული სასამართლოების განსჯადობასა და ადგილმდებარეობაზე იმ თვალსაზრისით, რომ ლიბერთი ბანკი თავის ყოველგვარი სარჩელს თქვენ წინააღმდეგ, რაც წარმოიშვება ან დაკავშირებულია თქვენ მიერ ამ ვებგვერდის წვდომასთან ან მისით სარგებლობასთან და ამ მოხმარების წესების დებულებებთან, წარუდგენს საქართველოს სასამართლოებს.

ეს ვებგვერდი არ ეხება და არ არის გამიზნული გასავრცელებლად ან გამოსაყენებლად ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი განსჯადობის ტერიტორიაზე ან ქვეყანაში, სადაც ამ ვებგვერდის გამოქვეყნება ან ხელმისაწვდომობა ანდა ასეთი გავრცელება ან გამოყენება ეწინააღმდეგება ადგილობრივ კანონმდებლობას ან წესებს. თუ თქვენ განიზრახავთ ინფორმაციის მიღებას ამ ვებგვერდიდან, თქვენვე იქნებით პასუხისმგებელი ყველა შესაბამისი ადგილობრივი, საერთო-სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე და ასეთ განსჯადობის ტერიტორიებზე თქვენ მიერ ამ ვებგვერდით სარგებლობა იქნება მხოლოდ თქვენ რისკზე. თქვენი კონკრეტული გარემოებების შესაბამისი სახელმძღვანელო რჩევების მისაღებად დაუკავშირდით თქვენს იურიდიულ მრჩეველს.

თუ ამ მოხმარების წესების რომელიმე წესის ან დებულების აღსრულება გახდება შეუძლებელი, დანარჩენი წესები და დებულებები რჩევა ხელშეუხებელი, ხოლო აღუსრულებელი წესი ან დებულება ჩანაცვლდება იმ აღსრულებადი წესით ან დებულებით, რომელიც ყველაზე ახლოს დგას აღუსრულებელი წესის ან დებულების მიზანთან. ეს მოხმარების წესები ექვემდებარება ნებისმიერ სხვა შეთანხმებას, რომელიც თქვენ დადებული გაქვთ ლიბერთი ბანკთან. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, ჩვენი შეხედულებისამებრ შევიტანოთ ცვლილებები ამ მოხმარების წესების წესებსა და დებულებებში ნებისმიერ დროს და წინასწარი შეტყობინების გარეშე.